

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

მოქმედების სფერო

3.1 ამ განყოფილებაში ახსნილია, რას გულისხმობს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა, რას მოიცავს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი და როგორ უნდა განხორციელდეს **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების** (ამ უკანასკნელის წარდგენის შემთხვევაში) და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების წარდგენა.

განცხადება სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ

3.2 ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც შედგენილია ამ სტანდარტის შესაბამისად, **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** თვალსაჩინო ადგილზე მითითებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ განცხადების გაკეთებით ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ განცხადების მაგალითია:

„წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად“.

ანგარიშგების წარდგენის პერიოდულობა

3.3. კანონის თანახმად, საწარმომ ყოველწლიურად უნდა წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი (მათ შორის, შესაძარისი ინფორმაცია), **3.8** და **3.9** პუნქტების შესაბამისად.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნები (ანუ როდის, სად და როგორ უნდა წარადგინონ წლიური ფინანსური ანგარიშგება).

მართალია, ამ სტანდარტით არ მოითხოვება შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, მაგრამ როდესაც მეოთხე კატეგორიის საწარმო შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას მოამზადებს (მაგალითად, სესხის განაცხადის მხარდასაჭერად ან მართვის მიზნებისათვის), მას შეუძლია მისი წარდგენა სტანდარტში მოცემული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასება

3.4 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში საწარმოს ხელმძღვანელობამ სტანდარტზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ანალიზისას ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი საპროგნოზო ინფორმაცია საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ. საპროგნოზო ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს.

2.5 პუნქტის შესაბამისად საწარმო ფუნქციონირებადია, თუ მისი:

- ხელმძღვანელობა არ აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას; ან
- ხელმძღვანელობას არ გააჩნია საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის რეალური ალტერნატივა.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების შეფასებისას საჭიროა ყველა საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინება, რომელიც მოიცავს სულ მცირე თორმეტ თვეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან. კერძოდ, ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს:

- საწარმოს უნარი, თავისი ვალდებულებები დაფაროს მათი დაფარვის ვადის დადგომისას;
- მისი ფულადი სახსრების ნაკადისა და მოგების საპროგნოზო სიდიდე; და
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები (იხ. პუნქტი 18.2, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მოვლენის, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს. მაგალითი იხილეთ პუნქტის 18.2 ქვემოთ მოცემულ თვითსწავლების მასალაში).

ხშირად მართვია საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასება, მაგალითად:

- მოგებიანი საწარმო, რომელიც არ განიცდის ფინანსურ სირთულეებს, როგორც წესი, ფუნქციონირებადი საწარმოა, თუ მესაკუთრეები არ მიიღებენ მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილებას;
- თუ საწარმოს მესაკუთრეები გადაწყვეტენ მისი საქმიანობის შეწყვეტას და ლიკვიდაციის დაწყებას დაგეგმავენ საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეში, მაშინ საწარმო ვერ იქნება ფუნქციონირებადი საწარმო.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისათვის საჭიროა განსჯის გამოყენება. თუმცა, საწარმოს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს მიერ საქმიანობის გაგრძელების შესახებ ეჭვის არსებობა, თავისთვად არ არის საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ ფინანსური ანგარიშგება არ იყოს შედგენილი ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

თუ განსჯის საფუძველზე ხელმძღვანელობა დაასკვნის, რომ საწარმო ფუნქციონირებადი არ არის, მაშინ ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ისეთი საფუძველით, რომელიც ასახავს ფაქტს, რომ საწარმო ფუნქციონირებადი არ არის (იხ. პუნქტები 3.5, 3.6 და 18.5).

- 3.5 როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ საწარმო არ არის ფუნქციონირებადი საწარმო, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ანაზღაურებადი ღირებულების საფუძველით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლიკვიდაციის პროცედურა ჯერ არ დაწყებულია. აღნიშნული საფუძველი ითვალისწინებს რომ, აქტივები შეფასებულია ანაზღაურებადი ღირებულებით და ვალდებულებები შეფასებულია იმ თანხის ოდენობით, რაც საჭიროა ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მანამდე, სანამ ხელმძღვანელობა გადაწყვეტს საწარმოს ლიკვიდაციას ან შეწყვეტს საქმიანობას, ან ვერ იპოვის სხვა რეალურ ალტერნატივას, გარდა იმისა, რომ ასე მოიქცეს (იხ. პუნქტი 2.5).

როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ან დაადგენს, რომ საწარმო აღარ არის ფუნქციონირებადი, ეს მისი აქტივების სავარუდო გაუფასურების ნიშანია (იხ. პუნქტი 9.3) და, შესაბამისად, საწარმომ უნდა განსაზღვროს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება (იხ. პუნქტი 9.2). არაფუნქციონირებადი საწარმოს შემთხვევაში ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება იმ მიდგომას, რომ ფულადი ნაკადების შემოდინება შესაძლებელი იქნება ამ აქტივების გაყიდვით და არა გამოყენების გზით.

საწარმოს ხელმძღვანელობას შეუძლია აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებსა და გარემოებებს დაეყრდნოს. მაგალითად:

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს განზრახული აქვს არაფინანსური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა გასაყიდ ფასის საფუძველზე, ხელმძღვანელობას შეუძლია მოცემული აქტივის ანაზღაურებადი

ღირებულების შეფასებისას დაეყრდნოს სხვადასხვა ფაქტორებსა და გარემოებებს, როგორც ეს აღწერილია პუნქტი 9.2-ში.

ანალოგიურად, თუ ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ საწარმო არაფუნქციონირებადია, ამ შემთხვევაში ყველა ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია მოკლე ვადაში. შესაბამისად, ვალდებულებების შეფასება ხდება იმ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სიდიდით, რაც საჭიროა საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ვალდებულების დასაფარად.

მაგალითი 1- არაფუნქციონირებადი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება

A საწარმომ 01/01/20x1 თარიღისთვის შეიძინა ერთი მანქანა-დანადგარი 60,000 ლარად, რომელსაც გააჩნია 6 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადა და ნულოვანი ნარჩენი ღირებულება. მანქანა-დანადგარზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

A საწარმომ 01/01/20x1 თარიღისთვის აიღო საბანკო სესხი 30,000 ლარი, რომ ნაწილობრივ დაეფინანსებინა მანქანა-დანადგარის შეძენა. ხელშეკრულების თანახმად, სასესხო ვალდებულების ვადამდელი დაფარვა (განურჩევლად იმისა, ნებაყოფლობით ხდება ეს თუ აღსრულების მოთხოვნით) იწვევს 10%-იან ჯარიმას დარჩენილ სასესხო ვალდებულებაზე (თანხის ძირისა და დარიცხული პროცენტის ჯამზე)

31/12/20x3 თარიღისთვის:

- მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულება შეადგენს 30,000 ლარს (ე.ი. $60,000/6=10,000$ ლარი წლიური ცვეთა, სამ წელზე - 30,000).
- Covid-19-ის პანდემიის გამო ეკონომიკური და სოციალური გარემო პირობები გაუარესდა და იმ პროდუქციის ბაზრის დაკეტვა გამოიწვია, რომლის წარმოებასა და რეალიზაციასაც ახდენს A საწარმო. შედეგად A საწარმოს აღარ შესწევს უნარი დაფაროს მიმდინარე სასესხო ვალდებულება, შემდეგი დაფარვის თარიღისთვის, რომელიც 01/01/20x4 უწევს. ეს კი სავარაუდოდ აქტივის დაყადაღებას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, საწარმოს ლიკვიდაციამდე მიიყვანს. ხელმძღვანელობას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ უახლოეს მომავალში დაადგინოს - A საწარმო აღარ არის ფუნქციონირებადი და შეწყვიტოს მისი საქმიანობა.
- სასესხო ვალდებულების საბალანსო ღირებულება არის 20,000 ლარი, ე.ი ძირი თანხისა და დარიცხული პროცენტის ჯამი.

A საწარმომ მანქანა-დანადგარი უნდა შეაფასოს ანაზღაურებადი ღირებულებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მანქანა-დანადგარის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ჯართად ჩაბარების გზით, რაც კომპანიას მოუტანს 11,000 ლარს (მთლიანი თანხა). მოცემული მანქანა-დანადგარის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯი შეადგენს 1,000 ლარს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, A საწარმო 31/12/20x3 თარიღისთვის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს არაფუნქციონირებადი საწარმოს

პრინციპით, რა დროსაც ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს:

- მანქანა-დანადგარი ანაზღაურებადი ღირებულებით, რაც არის 10,000 ლარი (ე.ი. 11,000 ლარი ჯართის გაყიდვით მიღებული სრული თანხა, შემცირებული გაყიდვისათვის საჭირო 1,000 ლარის დანახარჯით) და
- სასესხო ვალდებულება 22,000 ლარად, ე.ი. თანხა, რომელიც საჭიროა ვალდებულის დასაფარად საანგარიშგებო თარიღისთვის (20,000 ლარი საბალანსო ღირებულებას დამატებული 2,000 ლარი ვადამდელი გადახდის ჯარიმ).

3.6 თუ ფინანსური ანგარიშგების შედგენას გადაწყვეტს საწარმო, რომელიც ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ანაზღაურებადი ღირებულების საფუძველით.

თუ საწარმო ლიკვიდაციის პროცესშია და მისი ხელმძღვანელობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებას გადაწყვეტს. ამ შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება ანაზღაურებადი ღირებულების საფუძველით, 3.5 პუნქტში აღწერილი პროცედურის ანალოგიურიად.

ანაზღაურებადი ღირებულის საფუძველი ლიკვიდაციის პროცესში, როგორც წესი, ასახავს შემდეგ ეკონომიკურ ბუნებას:

- საწარმოს აქტივების ლიკვიდაციას მათი მესამე მხარეზე გაყიდვის გზით;
- აქტივების ლიკვიდაციიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოყენებას საწარმოს ვალდებულებების დასაფარად და
- დანარჩენი ფულადი სახსრების, თუ ასეთი არსებობს, განაწილებას საწარმოს მესაკუთრეებზე.

არსებითობა და აგრეგირება

3.7 საწარმომ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის (ამ უკანასკნელის წარდგენის შემთხვევაში) განსაზღვრული მუხლების ფარგლებში, ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს ყველა არსებითი მუხლი, ხოლო არაარსებითი მუხლები აგრეგირებულად.

არსებითობა მე-2 განყოფილების - დაშვებები და ძირითადი პრინციპები - პუნქტში 2.8 შემდგენაირადაა განმარტებული „ინფორმაცია არსებითია, თუ მის გამოტოვებას ან არასწორად წარდგენას ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში, შეუძლია გავლენა მოახდინოს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული ან

არასწორად წარმოდგენილი ინფორმაციის სიდიდესა და ხასიათზე, რისი განხილვაც უნდა ხდებოდეს შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით“.

ამ პუნქტის თანმდევ თვითსწავლების მასალებში მოცემულია არსებითობის კონცეფციის დამატებითი ახსნა.

პუნქტებით 3.11–3.14 დადგენილია ფინანსური ანგარიშგების ფორმატი, კონკრეტული მუხლების დონეზე. საწარმომ უნდა გამოიყენოს ეს ფორმატი ყველა არსებითი მუხლისთვის. შესაძლებელია განსხვავებული ხასიათის ან ფუნქციის არაარსებითი მუხლების აგრეგირება.

მაგალითი 2- აგრეგირება

31/12/20x1 წელს A საწარმოს გააჩნდა სავაჭრო ვალდებულებები 20,000 ლარი და 5 ლარი დარიცხული ხარჯი, მიღებული მომსახურებისთვის, რომლის ანგარიშ-ფაქტურა მომწოდებელს ჯერ არ გამოუგზავნია.

მისაღებია თუ არა A საწარმოს მიერ 5 ლარი დარიცხული ხარჯის ასახვა სავაჭრო ვალდებულებების მუხლში მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ანუ სავაჭრო ვალდებულებების ასახვა 20,005 ლარის ოდენობით?)

დიახ, მისაღებია A საწარმოს მიერ თავისი დარიცხული ხარჯების (5 ლარი) სავაჭრო ვალდებულებებთან (20,000 ლარი) აგრეგირება, რადგან მისი დარიცხული ხარჯი არაარსებითია და ამიტომ განსხვავებული მუხლების აგრეგირება არაარსებითია (გონივრულობის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი, რომ გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე).

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

- 3.8 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა მოიცავდეს:
- ა. საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით შედგენილ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას**, რომელსაც ბოლოში დაერთვის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები; და
 - ბ. **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას**.

საწარმო უფლებამოსილია, ასევე წარადგინოს **ფულადი ნაკადების ანგარიშგება**.

- 3.9 თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა რამ არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა ციფრობრივი მონაცემისთვის.

როგორც წესი, შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნის შესასრულებლად საწარმომ უნდა წარმოადგინოს: ფინანსური მდგომარეობის

ორი ანგარიშგება - ერთი მიმდინარე პერიოდის ბოლოსთვის, მეორე კი გასული პერიოდის ბოლოსთვის:

- შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ორი ანგარიშგება - ერთი მიმდინარე პერიოდისთვის, მეორე კი გასული პერიოდისთვის;
- შესადარისი ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში ასახული ტექსტური, აღწერითი და ციფრული ინფორმაციისთვის; და
- იმ საწარმოებისთვის, რომლებიც გადაწყვეტენ ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენას, ფულადი ნაკადების ორი ანგარიშგება - ერთი მიმდინარე პერიოდისთვის, მეორე კი გასული პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების პირველად წარდგენის შემდეგ, მომდევნო წლებში, საწარმოს მოუწევს სამსახურში მხოლოდ ერთი, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, რადგან ცენტრალიზებული ციფრული წარდგენის სისტემის მეშვეობით სამსახურს ექნება უკვე დადგენილი ფორმატით მომზადებული შესადარისი ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია

3.10 საწარმომ თვალსაჩინოდ უნდა გამიჯნოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის თითოეული შემადგენელი ნაწილი. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის გასაგებად, ნათლად მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია და გაიმეოროს კიდევ, თუ ამის გაკეთება აუცილებელია:

- საწარმოს დასახელება და წინა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მისი სახელწოდების ნებისმიერი ცვლილება;
- საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღი და ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი;
- მიუთითოს, რომ თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებული და წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში; და
- საწარმოს იურიდიული მისამართი.

საწარმო ზემოაღნიშნულ მოთხოვნას დააკმაყოფილებს სამსახურისთვის თავისი წლიური ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, სამსახურის პორტალზე მოთხოვნილი ველების შევსებით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3.11 საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოცემული ფორმატით უნდა წარადგინოს და, არსებითობის გათვალისწინებით, ცალკე წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:

აქტივები

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

		ვალდებულებები	
ფულადი სახსრები	X	სავაჭრო ვალდებულებები	X
სავაჭრო მოთხოვნები	X	ანარიცხები	X
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	X	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	X
მარაგი	XX	საგადასახადო ვალდებულებები	X
- მზა პროდუქცია	X	დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი	X
- სხვა	X	მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	X
სხვა მოკლევადიანი აქტივები	X	ბანკებისგან ნასესხები თანხები	X
ბიოლოგიური აქტივები	XX	სხვა ნასესხები თანხები	X
- თვითღირებულების მოდელით	X	სხვა ვალდებულებები	X
- გასაყიდი ფასის მოდელით	X	სულ ვალდებულებები	XX
ძირითადი საშუალებები	XX	საკუთარი კაპიტალი	
- მიწა	X	საკუთარი კაპიტალი (სს-ისთვის სააქციო კაპიტალი)	X
- შენობა-ნაგებობები	X	საემისიო კაპიტალი	X/(X)
- სხვა ძირითადი საშუალებები	X	გამოსყიდული საკუთარი აქციები	(X)
- არამატერიალური აქტივები	X	გაუნაწილებელი მოგება	X/(X)
- საიჯარო აქტივები საკუთრების გადაცემის პირობით	X		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	X	კაპიტალის სხვა მუხლები	X
სხვა გრძელვადიანი აქტივები	X	სულ საკუთარი კაპიტალი	XX
კაპიტალი (გაუნაღმდებელი ნაწილი)	X		
სულ აქტივები	XX	სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	XX

3.12 აქტივი მოკლევადიან აქტივად მიიჩნევა, თუ:

- ა. ძირითადად სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენება;
- ბ. ნავარაუდევია მისი რეალიზება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- გ. იგი არის ფულადი სახსრები. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც ფულადი სახსრების გაცვლა ან ვალდებულების შესასრულებლად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვით მაინც.

საწარმო მოკლევადიან აქტივებად განიხილავს შემდეგს:

- მარაგს, რომელიც სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენება;
- სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა მიღებას მოელის საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეში;

- გაცემულ ავანსებსა და დარიცხულ შემოსავალს, რომელთა დაფარვას ვარაუდობს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეში; და
- ფულად სახსრებსა და ფულის ეკვივალენტებს, თუ საწარმოს არა აქვს ვალდებულების დასაფარად, ამ ფულადი სახსრების გამოყენების შეზღუდვა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნით.
- ამავე დროს, საწარმო „სხვა გრძელვადიანი აქტივების“ მუხლს მიაკუთვნებს:
 - სავაჭრო მოთხოვნებს, ავანსად გადახდილ ხარჯებსა და დარიცხულ შემოსავალს, რომლის მიღებასაც მოელის საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ; და
 - ფულად სახსრებს ბანკში, ფიქსირებულვადიანი დეპოზიტის ანგარიშზე, რომლის გადახდის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ დადგება.

საწარმოს არ მოეთხოვება ვალდებულებების დაყოფა (კლასიფიკაცია) მოკლევადიან/გრძელვადიან ვალდებულებებად.

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

3.13. საწარმომ შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება მოცემული ფორმატით უნდა წარადგინოს და, არსებითობის გათვალისწინებით, ცალ-ცალკე წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:

ნეტო ამონაგები	X
- საქონლის გაყიდვიდან	X
- მომსახურების გაწევიდან	X
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	X
- სხვა	X
გაყიდვების თვითღირებულება	(X)
საერთო მოგება	XX
სხვა შემოსავალი	X
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	(X)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(X)
გაუფასურების ხარჯი	(X)
- ფინანსური აქტივები	(X)
- მარაგი	(X)
- სხვა არაფინანსური აქტივები	(X)
საპროცენტო შემოსავალი	X
საპროცენტო ხარჯი	(X)
დივიდენდად გაცემული არაფულადი აქტივის საბაზრო ღირებულების კორექტირება	X/(X)
ცვლილება ბიოლოგიური აქტივის გასაყიდ ფასში	X/(X)
სხვა ხარჯები	(X)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	XX
მოგების გადასახადი	X/(X)

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	XX
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული	X/(X)
- გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	X/(X)
- გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა	X/(X)
- გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა	X/(X)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(X)
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	XX

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

3.14 საწარმომ, რომელიც გადაწყვეტს ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენას, უნდა გამოიყენოს პირდაპირი მეთოდი და მოცემული ფორმატის დაცვით, არსებითობის გათვალისწინებით, ცალკე წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:

საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	X
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(X)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	X/(X)
გადახდილი მოგების გადასახადი	(X)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	XX
საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(X)
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(X)
სესხის (გაცემა) და შემდგომი დაბრუნება	X/(X)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	X
ფულადი სახსრების შემოსვლა ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	X
მიღებული პროცენტი	X
მიღებული დივიდენდები	X
სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	X/(X)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	XX
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან	X
ფულადი სახსრების შემოსვლა აღებული სესხებიდან	X
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯაროდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	(X)
სესხის ძირის გადახდა	(X)
სესხის პროცენტის გადახდა	(X)
დივიდენდების გადახდა	(X)
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	X/(X)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	XX
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	XX

ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის
 სავალუტო კურსის ეფექტი
ფულადი სახსრები წლის ბოლოს

X
X/(X)
XX

განმარტებითი შენიშვნები

3.15 საწარმოს განმარტებითი შენიშვნები უნდა მოიცავდეს მხოლოდ შემდეგ ინფორმაციას:

- ა. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, ან ნებისმიერი პირობითი ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, ან პირობითი ვალდებულების ჯამური თანხა, რომლებიც ასახული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, ან პირობითი ვალდებულების ხასიათისა და ფორმის ცალ-ცალკე აღწერა (შესაბამისი თანხის მითითებით), რომელიც მიეკუთვნება:
 - i. პენსიებს; და
 - ii. მის მშობელ საწარმოს, შვილობილ საწარმოს (მშობელი საწარმოს მიერ კონტროლირებული საწარმო, მათ შორის საბოლოო მშობელი საწარმოს ნებისმიერი შვილობილი საწარმო), ან მეკავშირე საწარმოს (ე.ი. საწარმო, რომლის საოპერაციო და ფინანსურ პოლიტიკაზე მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. წინამდებარე სტანდარტის თანახმად, მნიშვნელოვანი გავლენა მაშინ არსებობს, როდესაც მეოთხე კატეგორიის საწარმო ფლობს მოცემული საწარმოს ხმის უფლების 20%-ს ან მეტს).

მოვალეობების კონტექსტში პირობითი ვალდებულებები წარმოადგენს:

- საწარმოს შესაძლო მოვალეობას (რომელიც არ აკმაყოფილებს პუნქტში 2.10 მოცემულ ვალდებულების განმარტებას); ან
- საწარმოს არსებულ მოვალეობას, რომელიც აკმაყოფილებს ვალდებულების განმარტებას, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ ამ ტიპის ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს. მსგავს მუხლებს ზოგჯერ „ბალანსგარეშე“ ვალდებულებებს უწოდებენ.

მაგალითად, როდესაც საწარმო მესამე მხარეს მისცემს ბანკის სესხის გადახდის გარანტიას მესამე მხარის დეფოლტის შემთხვევაში. ანუ, საწარმო იძლევა ბანკის წინაშე სხვა მხარის მოვალეობაზე პასუხისმგებლობის აღებას, თუ ეს მხარე მოვალეობას ვერ შეასრულებს. საწარმომ, რომელიც იძლევა გარანტიას:

- პირობითი ვალდებულება განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს, თუ 50% ან ნაკლები ალბათობაა, რომ მსესხებელი დეფოლტს განიცდის და საჭირო გახდება გარანტიის გადახდა;
- პირობითი ვალდებულების გამჟღავნების ნაცვლად საკუთარი ფინან-

სური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიაროს ვალდებულება, თუ უფრო სავარაუდოა, ვიდრე არა (ანუ ალბათობა >50%), რომ მსესხებელი დეფოლტს განიცდის და საჭირო გახდება გარანტიის გადახდა (იხ. მე-11 განყოფილება -ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.

ბალანსგარეშე (ანუ აუღიარებელი) ვალდებულებების გაგრცელებული მაგალითია სხვა საწარმოსგან მარაგის ან გრძელვადიანი აქტივის (მაგ., ძირითადი საშუალება) ყიდვის მყარი განზრახვა.

აქტივის განმარტების შესაბამისად (იხ. პუნქტი 2.9):

- მშობელია საწარმო, რომელიც საანგარიშგებო საწარმოს აკონტროლებს; და
- შვილობილია საწარმო, რომელსაც საანგარიშგებო საწარმო აკონტროლებს.

როგორც წესი, მშობელი საწარმო შვილობილი საწარმოს ხმის უფლების 50%-ზე მეტს აკონტროლებს.

მეკავშირე საწარმო არის საწარმო:

- რომლის მნიშვნელოვან წილს ფლობს საანგარიშგებო საწარმო, მაგრამ არ აკონტროლებს მას; და
- რომლის საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკაზე საანგარიშგებო საწარმოს აქვს გავლენა.

როგორც წესი, საანგარიშგებო საწარმო მეკავშირე საწარმოს ხმის უფლების 20% -დან 50%-მდე ფლობს.

- ბ. ხელმძღვანელი და სამეთვალყურეო ორგანოების წევრებზე გაცემული ავანსებისა და კრედიტების თანხა, საპროცენტო განაკვეთის, ძირითადი პირობებისა და დაბრუნებული, ჩამოწერილი ან გაუქმებული თანხების ოდენობის მითითებით, ასევე მათი სახელით ნებისმიერი სახის გარანტიის მეშვეობით აღებული ვალდებულებების თანხისა და შესაბამისი გარანტიის თანხის (ოდენობის) მითითებით.

ამ ინფორმაციის წარდგენა არ მოითხოვება თითოეულ პირზე, ანუ შესაძლებელია მისი აგრეგირებულად ან შესაბამის კატეგორიებად წარდგენა.

განმატრებითი შენიშვნების გამჟღავნებისთვის ხელმძღვანელობას შეუძლია შემდეგი ფორმატის გამოყენება:

სარგებლის სახე	ძირითადი პირობები		გაცემული სარგებლის ოდენობა	შემცირება დროთა განმავლობაში		პერიოდის ბოლოს დასაფარინაშთი
	საპროცენტო განაკვეთები	სხვა		დაბრუნებული	ჩამოწერილი ან გაუქმებული	
1	2	3	4	5	6	7
იმ შესაბამისი მხარეების აღწერა, ვისზეც გაიცა მიიღო ავანსები და კრედიტები ⁽¹⁾						

კრედიტები/სესხები საანგარიშგებო საწარმოსგან						
ავანსები საანგარიშგებო საწარმოსგან						
საანგარიშგებო საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებები ⁽²⁾						

შენიშვნები:

1. საჭირო არ არის მხარეების სახელების გამჟღავნება
2. კატეგორიების მიხედვით (შეიძლება საჭირო გახდეს ცალ-ცალკე მუხლები)

- გ. ინფორმაცია საკუთარი აქციების შექენაზე ან გასხვისებაზე, რომელიც განახორციელა თვითონ საწარმომ ან მისი სახელით მოქმედმა სხვა პირმა, კერძოდ, სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:
- i. საანგარიშგებო პერიოდში აქციების შექენის მიზეზები;
 - ii. საანგარიშგებო პერიოდში შექენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;
 - iii. აქციების შექენისათვის ან გასხვისებისათვის განხორციელებული საპასუხო შესრულება (ე.ი. შექენის ან გაყიდვის შემთხვევაში - აქციებისათვის მიღებული ანაზღაურება);
 - iv. საანგარიშგებო პერიოდში შექენილი და საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი.